# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№129 2016 წლის 2 თებერვალი ქ. თბილისი

### საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ

საქართველოს მთავრობასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 2015 წლის 12 აპრილს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის შესაბამისად, ქართული მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ ა(ა)იპ - ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს გამოუყოს 40 200 (ორმოცი ათას ორასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი ოფისის ქირის გადასახდელად.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი